კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა. ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირი თანხის ფულად ნაკადებს.

2017	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	822,153	-	-	822,153
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	822,153	-	-	822,153
ფული და ფულის ექვივალენტები	253,483	-	-	253,483
სულ ფინანსური აქტივები	1,075,636	-	-	1,075,636
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	186,288	237,797	-	424,085
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	186,288	237,797	-	424,085
სხვა ვალდებულებები	21,462	-	-	21,462
სულ ფინანსური ვალდებულებები	207,751	237,797	-	445,547
ლიკვიდურობის გარღვევა	867,885	(237,797)	-	
საერთო ლიკვიდურობის გარღვევა	867,885	630,089	630,089	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის გარღვევა	635,865	(237,797)	-	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის საერთო გარღვევა	635,865	398,068	398,068	

მისო შპს კრედიტინი
 ფინანსური ანგარიშების შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართული ლარი)

2016	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	399,899	450,135	-	850,034
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	399,899	450,135	-	850,034
ფული და ფულის ექვივალენტები	68,024	-	-	68,024
სულ ფინანსური აქტივები	467,923	450,135	-	918,058
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	381,743	-	-	381,743
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	381,743	-	-	381,743
სხვა ვალდებულებები	10,883	-	-	10,883
სულ ფინანსური ვალდებულებები	392,626	-	-	392,626
ლიკვიდურობის გარღვევა	75,297	450,135	-	525,432
საერთო ლიკვიდურობის გარღვევა	75,297	525,432	525,432	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის გარღვევა	18,156	450,135	-	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის საერთო გარღვევა	18,156	468,291	468,291	

26. კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს გამოცემულ კაპიტალს, დაგროვილ ზარალს და ვალს.

მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს ეფექტური მთლიანი ფინანსირების სტრუქტურის შესანარჩუნებლად ნასესხები საშუალებებისგან თავის არიდების დროს. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას, ახალი აქციების გამოცემას.

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნების მიმართულებით არის:

- შეუნარჩუნოს კომპანიას უნარი გააგრძელოს მფლობელებისთვის ფინანსური სახსრების მიღება;
- მფლობელები უზრუნველყოს ადეკვატური ფინანსური სახსრების მიღებით, მომსახურების ღირებულების დადგენის რისკის დონის შესაბამისად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის ოდენობას რისკის პროპორციულად. კომპანია ახდენს კაპიტალის სტრუქტურის მენეჯმენტს და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური

მისო შპს კრედიტინი
ფინანსური ანგარიშების შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

ცვლილებების და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ მოხდეს კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნება ან რეგულირება, კომპანიას შეუძლია შეცვალოს დივიდენდების რაოდენობა, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი მფლობელებისთვის, ასევე კაპიტალის დაბრუნება მფლობელებისთვის. კომპანია შეესაბამება მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს - ფულადი სახსრების მინიმალური შენატანი უნდა იყოს არანაკლებ 250 ათასი ლარისა. კომპანია ასევე აკონტროლებს კაპიტალის ადეკვატურობის დონეს ვალის შესაბამისად, ახდენს კალკულაციას კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად. იხილეთ მე-17 შენიშვნა კოვენანტებთან შესაბამისობის შესახებ.

27. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან მისი მფლობელები, ძირითადი მენეჯმენტი, კომპანიის სხვა მფლობელების საკუთრებაში არსებული სხვა კომპანიები. შეძენა და მიყიდვა დაკავშირებული მხარეებიდან და მათზე ხორციელდება იმ პირობების ექვივალენტი პირობებით, რაც უპირატესია დამოუკიდებელ მხარეებს შორის დადებულ ტრანზაქციებში. კომპანიას არ აღურიცხია დებიტორული დავალიანებების გაუფასურება, იმ თანხებთან დაკავშირებით, რასაც დაკავშირებული მხარეები ფლობენ. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს დაკავშირებული მხარის ფინანსური მდგომარეობის და იმ ბაზრების გამოკვლევით, სადაც ფუნქციონირებს დაკავშირებული მხარე. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არის შემდეგი:

2017		2016		
ურთიერთობა	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად
ერთი მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები	-	55,122	8,142	35,590

2017		2016		
ურთიერთობა	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად
მენეჯმენტის ძირითადი პერსონალის კომპენსაცია:	36,500	144,826	24,800	109,600

კომპანიას არ აქვს აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან.

28. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღნიშნულია კომპანიის მიერ სათანადოდ.

კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს, მაგრამ მიჩნეულია, რომ კომპანია არ დაექვემდებარება მნიშვნელოვან საჩივრებს, რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე არსებითი გავლენა ექნება.

სამართალწარმოება კომპანია ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას ექვემდებარება სამართლებრივ ქმედებებსა და საჩივრებს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ასეთი ვალდებულების წარმოქმნას არ ექნება ნეგატიური ეფექტი სამომავლო ფინანსურ მდგომარეობასა ან ოპერაციების შედეგებზე. საგადასახადო შეღავათები საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და, შესაბამისად, ხშირად ხდება კანონში, ოფიციალურ განცხადებებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხშირად არის გაურკვეველი, წინააღმდეგობრივი და სხვადასხვა სახით ინტერპრეტირებული. საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო წელი რჩება ღიად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც საგადასახადო წელი შესაძლოა იყოს ღია უფრო მეტი დროითაც. ამ გარემოებამ შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ის ასრულებს საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც ემყარება მის ინტერპრეტაციას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი უფლებამოსილი პირების ინტერპრეტაცია შესაძლოა იყოს განსხვავებული, რამაც შესაძლოა, მოახდინოს ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირები შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის შემუშავებას. საოპერაციო გარემო განვითარებადი ბაზრები საქართველოში ექვემდებარებიან რისკებს, რომლებიც არის განსხვავებული სხვა განვითარებადი ბაზრებისგან; ბაზრები დგას ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ლეგალური და სამართლებრივი რისკების წინაშე. კანონები და რეგულაციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საქართველოში მოქმედ ბიზნესებზე განაგრძობს სწრაფ განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი მიმართულებით. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო გეგმას წარმოადგენს მთავრობის მიერ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებით ზეგავლენის მოხდენა, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალი. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ შეიმუშავა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას.

მისო შპს კრედიტინი
ფინანსური ანგარიშების შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ შეიცვალა საფინანსო სექტორის რეგულაცია რომლის მიხედვითაც 2018 წლის სექტემბრიდან მისო-ებს ევალებათ გაზარდონ კაპიტალი 500,000 ლარამდე, იმისთვის რომ შეინარჩუნონ მისო-ს სტატუსი, კომპანია გეგმავს საკუთარი კაპიტალის გაზრდას შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არაფერი მომხდარა ისეთი რაც საჭიროებს ხსენებას.

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „კრედფინი“, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებს 2016 წლის 19 აპრილიდან. მისი „კრედფინი“ წარმოდგენილია ჯერჯერობით მხოლოდ ქ. თბილისის მასშტაბით.

2017 წლის განმავლობაში მისოს სესხებით ძირითადად სარგებლობდნენ სხავდასხვა ბაზარზე მოვაჭრე ინდ. მეწარმეები, სამარშრუტო ტაქსის მძღოლები და მცირე და საშუალო ბიზნესით დაკავებული პირები. მისოს ძირითადი პრიორიტეტია 5000 ლარამდე სესხები, რომლითაც სარგებლობენ ინდ. მეწარმეები თავიანთი ბიზნესის მხარდასაჭერად მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ჩვენი მომსახურების დადებითი მხარეებია სესხის განხილვისა და დამტკიცების მაქსიმალურად მცირე დრო, სესხის გადახდის გრაფიკი მთლიანად შეთანხმებულია და მორგებულია მსესხებლის შემოსავლებზე თვის განმავლობაში, ყველა მსესხებელთან სესხის მოქმედების პერიოდში მიმდინარეობს ინდივიდუალური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში მათი ინტერესების გათვალისწინებით ხდება სესხის რესტრუქტურისა ან გადახდის თარიღის ცვლილება. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ბაზარზე მუშაობის სპეციფიკა და სეზონურობა. ყველაფერი ამის განხორციელების საშუალებას გვაძლევს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც ფლობს კომპანია.

კომპანიის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად შევს კომპანიაში დასაქმებულები არიან კვალიფიციური და მოტივირებული თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ გუნდური პრინციპით. კომპანიის თანამშრომლებს გარდა ფიქსირებული ხელფასისა, აქვთ დანამატები ბონუსების სახით.

კომპანია აქტიურად მუშაობს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, როგორც შიდა, ისე საზღვარგარეთელი ინვესტორებისაგან, როგორც კერძო, ისე იურიდიული პირებისგან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ლატვიურ საინვესტიციო ჯგუფებთან. ამასთან, დამუშავების პროცესშია ობლიგაციების გამოშვება. იგეგმება შპს-ს გარდაქმნა სს-ად, რათა უფრო გამარტივდეს და ხელმისაწვდომი გახდეს ინვესტორებისათვის კომპანიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება.

ინვესტორებისაგან შედარებით იაფი ფინანსური რესურსის მოზიდვით, კომპანიას მიეცემა შესაძლებლობა გასაცემ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის დაწევის, რაც სამომავლოდ გაზრდის ჩვენი პროდუქტების მიმართ მომხმარებლის დაინტერესებას და, შესაბამისად, გაზრდის სასესხო პორტფელს, რაც დადებითად აისახება კომპანიის ფინანსურ შემოსავლებზე.

ქ. თბილისის მასშტაბით ფუნქციონირებს მისოს „კრედფინი“ ერთი სათაო ოფისი და ორი ფილიალი. სათაო ოფისში განთავსებულია საკრედიტო და იურიდიული დეპარტამენტები, ასევე, წარმოდგენილია დირექტორთა და მენეჯერებით. სათაო ოფისში მიმდინარეობს სესხების განხილვა-დამტკიცების პროცესი, ასევე, კომპანიის იურიდიული და მმართველობითი საქმიანობა. კომპანიის ფილიალები განთავსებულია ცოტნე დადიანის N109 და N150 ნომრებში. ფილიალებში ძირითადად მიმდინარეობს სავალუტო ოპერაციები და ოქროთი უზრუნველყოფილი სესხების გაცემა. ფილიალების მუშაობა სადღეღამისოა. ამასთან ერთად ფილიალებში ხდება სესხის განაცხადების მიღება, რომლებიც ონლაინ რეჟიმში იგზავნება სათაო ოფისში განსახილველად.

მიმდინარეობს მუშაობა ახალი ფილიალების გასახსნელად ქ. თბილისის მასშტაბით.

2016 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის აქტივები შეადგენდა 949744 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით- 1119540 ლარს.

2017 წლის განმავლობაში კომპანიის მომსახურებით ისარგებლა 37208 მომხმარებელმა. ამავე წელს გამარტივდა სესხის გაცემის პროცედურები და მომხმარებლისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი პროდუქტები: ბიზნეს სესხი, იპოთეკური სესხი, სალომბარდე სესხი, სამომხმარებლო და ავტომობილარდი.

შპს მისო „კრედფინი“ ზედმიწევნით ასრულებს სეზ-ის რეგულაციებს და ბრძანებებს, შესაბამისად, დადგენილ ვადებში აგზავნის სეზ-ში ანგარიშგებებს.

მომხმარებლები დადებითად აფასებენ კომპანიის მუშაობას, რაც დასტურდება იმით, რომ განმეორებით იღებენ სესხებს, გვყავს მეორე, მესამე, მეოთხე რიგის მსესხებლები. ეს განპირობებულია კომპანიაში მაღალპროფესიონალი კადრების არსებობით, რომლებიც მაქსიმალურ ყურადღებას აქცევენ მომხმარებელთან ურთიერთობას. აქედან გამომდინარე კომპანიას ბაზარზე უჭირავს საკმაოდ მყარი პოზიცია.

კომპანიას მუშაობა უწევს ისეთ გარემოში, სადაც მსგავსი კომპანიები საქმიანობენ და აქვთ იგივე სახის პროდუქტები. შესაბამისად, ყოველთვის არსებობს რისკის ალბათობა იმისა, რომ კომპანიის კლიენტებმა აირჩიონ სხვა კომპანია.

კომპანიის მომხმარებლები ძირითადად არიან ინდ. მეწარმეები და საშუალო ბიზნესით დაკავებული პირები, შესაბამისად, მთლიანად დამოკიდებულნი არიან სახლემმწიფოში მიმდინარე პროცესებზე, რომელიც პირდაპირ აისახება ბიზნეს გარემოზე. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკის ალბათობა, რომ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მოხდეს ბიზნესსაქმიანობის რაღაც კუთხით შეფერხება, რაც აისახება კომპანიის სამომავლო პერსპექტივებზე.

➤ კომპანიის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები.

- კომპანიას გათვალისწინებული აქვს, კომპანიის კაპიტალიზაციის გაზრდა 500 000 ლარის ოდენობით, კომპანიის მიერ ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების ემისიის მეშვეობით.

**(აღნიშნული აქციების შეძენის შეთავაზებები, პირველ რიგში წარდგენილი იქნება ევროპის წამყვანი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის და საინვესტიციო ე.წ. „ჰეჯ-ფონდები“-სათვის)*

შედარებით იაფი და გრძელვადიანი კაპიტალის მოზიდვის შედეგად, კომპანიას გაუჩნდება მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებების ფართოდ დაფინანსების შესაძლებლობა - დაფინანსების „ფაქტორინგული ოპერაციების“ განხორციელების გზით, რაც თავის მხრივ შეამცირებს საკრედიტო რისკებს და მისცემს კომპანიას სტაბილური განვითარების შესაძლებლობას.

ამასთან ერთად, კომპანიის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს პერსპექტიულ, მომგებიან და გარანტიების მაღალი ხარისხის მქონე ფასიან ქაღალდებში ნაწილობრივად დაბანდებას. აღნიშნული საინვესტიციო ოპერაციები მიმართული იქნება დაბალანსებული საინვესტიციო პორტფელის ფორმირებაზე.

➤ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები.

❖ საკრედიტო რისკი.

- კომპანიის მიერ, საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისას, ფასდება მსესხებლების კრედიტუნარიანობის დონე. ყოველი სესხის რისკის პარამეტრების შეფასება ხორციელდება საკრედიტო ექსპერტების მიერ, დადგენილი საკრედიტო ექსპერტიზის პროცედურების შესაბამისად. ცალკეულ მსესხებელთან მიმართებაში, საექსპერტო დიაგნოსტიკის შედეგების საფუძველზე, საკრედიტო კომიტეტის მიერ დგინდება: სესხის ოპტიმალური მოცულობა, საპროცენტო განაკვეთი, სესხის დაფარვის პერიოდულობა, გირავნობის საგნის ლიკვიდურობა, საბაზრო და სალიკვიდაციო ღირებულება.

ამასთან ერთად, „თბილმიკროკრედიტის“ მონაცემთა ბაზის გათვალისწინებით, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენება „კრედიტ-ინფოს“ ინფორმაციული ბაზა, რომლის საშუალებითაც ხდება ნეგატიური საკრედიტო ისტორიის მქონე მსესხებლების გაფილტრვა.

ე.წ. „ფორს-მაჟორული“ სიტუაციების დადგომის შემთხვევაში, გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა სესხის რესტრუქტურირაცია, გადახდის გრაფიკის სხვადასხვა სახის ცვლილებები. ყველაზე უპერსპექტივო შემთხვევებში ხდება პრობლემურ მსესხებელთა დაგირავებული პირადი ქონების, აუქციონის წესით რეალიზაცია.

- ❖ პერსონალის (თანამშრომელთა) კომპეტენტურობის რისკი.
 - აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის ორგანიზაციაში ტარდება სისტემატიური ტრენინგები ოპერაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. პრობლემის გაჩენის შემთხვევაში ხდება მსესხებელთა გადამოწმება შიდა კონტროლის სამსახურის ოფიცერთა მიერ გაცემული სესხების შესაძლო ხარვეზების გასაანალიზებლად.
- ❖ სავალუტო რისკი.
 - მიუხედავად ეროვნული ვალუტის არასტაბილურობის პირობებში ემიტენტს გააჩნია ეროვნული ვალუტის კურსის ჰეჯირების საკმაოდ ეფექტიანი მექანიზმები:
 - ვალუტების ჭრილში, დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი;
 - ვალუტების მიხედვით დაბალანსებული აქტივები და ვალდებულებები;
 - კომერციულ ბანკებთან სავალუტო ფორვარდული და SWOP-ის ოპერაციების განხორციელება;
 - სავალუტო კურსთან მიმართებაში „ღია სავალუტო პოზიციის“ მუდმივი კონტროლი და „მგრძნობიარე“ აქტივების და ვალდებულებების მინიმიზაცია;
 - კომპანიის მიერ აშშ დოლარში მოზიდული თანხების - ლარში კონვერტაციის და შესაბამისად ლარში ნომინირებული გაცემული სესხების შედეგად წარმოქმნილი სავალუტო რისკის ჰეჯირება (დაზღვევა), კომპანიას მიერ ხორციელდება მომსახურე კომერციულ ბანკთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.

კერძოდ, კომპანიას მიერ ხორციელდება აშშ დოლარში მოზიდული სავალუტო სახსრების განთავსება საბანკო დეპოზიტზე, საშუალო საპროცენტო დარიცხვით - წლიური 3.5% – 3.75% - ის პირობით.

პარალელურ რეჟიმში, კომპანია იღებს ბანკში განთავსებული დეპოზიტის თანხის უზრუნველყოფის საფუძველზე - საბანკო სესხს, შესაბამისად განთავსებული დეპოზიტის ეკვივალენტური თანხის ოდენობით - ლარში, წლიური საშუალოდ 12% ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიას მიერ სავალუტო რისკისაგან დაზღვევის (ჰეჯირების) საფასური (ხარჯი) წარმოადგენს განთავსებული დეპოზიტს და მიღებული სესხს შორის საპროცენტო სხვაობას (საპროცენტო ხარჯს).

მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს კომპანიას ლარებში ნომინირებული საკრედიტო პორტფელის, სავალუტო რისკებისაგან დაზღვევის შესაძლებლობას, რასც უშუალოდ პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს კომპანიას კრედიტუნარიანობის ხარისხის ზრდაზე.
 - ❖ საპროცენტო განაკვეთების რისკი.
 - საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია აბსოლუტურად ყველა სესხისათვის. საპროცენტო რისკის „ნიველირების“ მიზნით აგრეთვე ხორციელდება გაცემულ სესხებზე და მოზიდულ სახსრებზე, „საშუალო შეწონილი“ საპროცენტო განაკვეთების დაბალანსების პრინციპის გამოყენება, ექსპერტების მიერ პერიოდულად განხორციელებული საფინანსო ანალიზის შედეგად.
 - ❖ ლიკვიდურობის რისკი.
 - კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მაჩვენებელი დაბალია. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა სასესხო პორტფელის და მოზიდული რესურსების „საშუალო შეწონილი“ ვადების დაბალანსების პრინციპის გამოყენებას. 2018 წლის 01.10. მდგომარეობით კომპანიას საკრედიტო პორტფელის და მოზიდული ვალდებულებების „საშუალო-შეწონილი ვადების“ ტრასფორმაციის კოეფიციენტი (Ktr) შეადგენს:

(სასესხო პორტფელის საშუალო-შეწონილი ვადა)



$$Ktr = \frac{\text{სასესხო პორტფელის საშუალო-შეწონილი ვადა}}{\text{ვალდებულებების საშუალო-შეწონილი ვადა}} = 0.92$$

(ვალდებულებების საშუალო-შეწონილი ვადა)

ეკონომიკური არასტაბილურობის რისკი.


- აღნიშნული რისკის მინიმიზაცია ხორციელდება საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციისა და სესხების მნიშვნელოვანი ნაწილის უზრუნველყოფის სახით მიღებული ქონების შეფასების “დისკონტის მეთოდის” გამოყენებით.

❖ კომპანიის ძირითადი ფინანსური პარამეტრები:



2018 წლის 01.07. მდგომარეობით	
გაცემული სესხების ტიპი	ლარი
სესხები ოქროს უზრუნველყოფით	279265
იპოტეკური სესხები	64644
სამომხმარებლო და ბიზნეს სესხები	449727

სასესხო პორთფელის სტრუქტურა 01.07.2018 მდგომარეობით




- სესხები ოქროს უზრუნველყოფით
- იპოთეკური სესხები
- სამომხმარებლო და ბიზნეს სესხები

საკრედიტო პორთფელის დინამიკა


2017-1	2017-2	2017-3	2017-4	2018-1	2018-2
722752	663867	813951	775018	789477	793636

სასესხო პორთფელის დინამიკა - კვარტალურად (ლარი)



საბალანსო და რენტაბელობის მაჩვენებლები	2016 წელი	2017 წელი	2018 წლის 1-კვ	2018 წლის 2-კვ	2018 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით
აქტივები (ლარი)	949744	949744	1029313	1163588	
საწესდებო კაპიტალი	323423	323423	323423	456423	500000
ROE (კაპიტალის რენტაბელობა) - %	68,8	33,3	36,8	31,3	
ROA (აქტივების რენტაბელობა) - %	23,4	11,3	11,6	12,3	

აქტივების და კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებლები - წლიური % -ის ანგარიშით)



❖ ჩატარებული მარკეტინგული კვლევების შესახებ იფორმაცია:

კომპანიის მსესხებლების და კლიენტურის ლოიალურობის ამაღლების მიზნით, კომპანიის მიერ პერმანენტულად ტარდება მომხმარებელთა ანკეტირება - კომპანიის მიერ წარმოდგენილი სერვისის შესახებ.

აღნიშნული ანკეტირების შედეგების საფუძველზე კომპანიის მენეჯმენტი ითვალისწინებს შენიშვნებს და რეკომენდაციებს და პერიოდულად ატარებს პერსონალის ტრენინგებს კლიენტურის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

დირექტორი მურადი მორჩიაშვილი _____

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „კრედფინი“, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებს 2016 წლის 19 აპრილიდან. მისი „კრედფინი“ წარმოდგენილია ჯერჯერობით მხოლოდ ქ. თბილისის მასშტაბით.

2017 წლის განმავლობაში მისოს სესხებით ძირითადად სარგებლობდნენ სხავდასხვა ბაზარზე მოვაჭრე ინდ. მეწარმეები, სამარშრუტო ტაქსის მძღოლები და მცირე და საშუალო ბიზნესით დაკავებული პირები. მისოს ძირითადი პრიორიტეტია 5000 ლარამდე სესხები, რომლითაც სარგებლობენ ინდ. მეწარმეები თავიანთი ბიზნესის მხარდასაჭერად მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ჩვენი მომსახურების დადებითი მხარეებია სესხის განხილვისა და დამტკიცების მაქსიმალურად მცირე დრო, სესხის გადახდის გრაფიკი მთლიანად შეთანხმებულია და მორგებულია მსესხებლის შემოსავლებზე თვის განმავლობაში, ყველა მსესხებელთან სესხის მოქმედების პერიოდში მიმდინარეობს ინდივიდუალური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში მათი ინტერესების გათვალისწინებით ხდება სესხის რესტრუქტურირაცია ან გადახდის თარიღის ცვლილება. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ბაზარზე მუშაობის სპეციფიკა და სეზონურობა. ყველაფერი ამის განხორციელების საშუალებას გვაძლევს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც ფლობს კომპანია.

კომპანიის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად შვენს კომპანიაში დასაქმებულები არიან კვალიფიციური და მოტივირებული თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ გუნდური პრინციპით. კომპანიის თანამშრომლებს გარდა ფიქსირებული ხელფასისა, აქვთ დანამატები ბონუსების სახით.

კომპანია აქტიურად მუშაობს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, როგორც შიდა, ისე საზღვარგარეთელი ინვესტორებისაგან, როგორც კერძო, ისე იურიდიული პირებისგან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ლატვიურ საინვესტიციო ჯგუფებთან. ამასთან, დამუშავების პროცესშია ობლიგაციების გამოშვება. იგეგმება შპს-ს გარდაქმნა სს-ად, რათა უფრო გამარტივდეს და ხელმისაწვდომი გახდეს ინვესტორებისათვის კომპანიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება.

ინვესტორებისაგან შედარებით იაფი ფინანსური რესურსის მოზიდვით, კომპანიას მიეცემა შესაძლებლობა გასაცემ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის დაწვევის, რაც სამომავლოდ გაზრდის ჩვენი პროდუქტების მიმართ მომხმარებლის დაინტერესებას და, შესაბამისად, გაზრდის სასესხო პორტფელს, რაც დადებითად აისახება კომპანიის ფინანსურ შემოსავლებზე.

ქ. თბილისის მასშტაბით ფუნქციონირებს მისოს „კრედფინი“ ერთი სათაო ოფისი და ორი ფილიალი. სათაო ოფისში განთავსებულია საკრედიტო და იურიდიული დეპარტამენტები, ასევე, წარმოდგენილია დირექტორთა და მენეჯერებით. სათაო ოფისში მიმდინარეობს სესხების განხილვა-დამტკიცების პროცესი, ასევე, კომპანიის იურიდიული და მმართველობითი საქმიანობა. კომპანიის ფილიალები განთავსებულია ცოტნე დადიანის N109 და N150 ნომრებში. ფილიალებში ძირითადად მიმდინარეობს სავალუტო ოპერაციები და ოქროთი უზრუნველყოფილი სესხების გაცემა. ფილიალების მუშაობა სადღეღამისოა. ამასთან ერთად ფილიალებში ხდება სესხის განაცხადების მიღება, რომლებიც ონლაინ რეჟიმში იგზავნება სათაო ოფისში განსახილველად.

მიმდინარეობს მუშაობა ახალი ფილიალების გასახსნელად ქ. თბილისის მასშტაბით.

2016 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის აქტივები შეადგენდა 949744 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით- 1119540 ლარს.

2017 წლის განმავლობაში კომპანიის მომსახურებით ისარგებლა 37208 მომხმარებელმა. ამავე წელს გამარტივდა სესხის გაცემის პროცედურები და მომხმარებლისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი პროდუქტები: ბიზნეს სესხი, იპოთეკური სესხი, სალომზარდე სესხი, სამომხმარებლო და ავტომობილზარდი.

შპს მისო „კრედფინი“ ზედმიწევნით ასრულებს სეზ-ის რეგულაციებს და ბრძანებებს, შესაბამისად, დადგენილ ვადებში აგზავნის სეზ-ში ანგარიშგებებს.

მომხმარებლები დადებითად აფასებენ კომპანიის მუშაობას, რაც დასტურდება იმით, რომ განმეორებით იღებენ სესხებს, გვყავს მეორე, მესამე, მეოთხე რიგის მსესხებლები. ეს განპირობებულია კომპანიაში მაღალპროფესიონალი კადრების არსებობით, რომლებიც მაქსიმალურ ყურადღებას აქცევენ მომხმარებელთან ურთიერთობას. აქედან გამომდინარე კომპანიას ბაზარზე უჭირავს საკმაოდ მყარი პოზიცია.

კომპანიას მუშაობა უწევს ისეთ გარემოში, სადაც მსგავსი კომპანიები საქმიანობენ და აქვთ იგივე სახის პროდუქტები. შესაბამისად, ყოველთვის არსებობს რისკის ალბათობა იმისა, რომ კომპანიის კლიენტებმა აირჩიონ სხვა კომპანია.

კომპანიის მომხმარებლები ძირითადად არიან ინდ. მეწარმეები და საშუალო ბიზნესით დაკავებული პირები, შესაბამისად, მთლიანად დამოკიდებულნი არიან სახლემმწიფოში მიმდინარე პროცესებზე, რომელიც პირდაპირ აისახება ბიზნეს გარემოზე. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკის ალბათობა, რომ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მოხდეს ბიზნესსაქმიანობის რაღაც კუთხით შეფერხება, რაც აისახება კომპანიის სამომავლო პერსპექტივებზე.

➤ კომპანიის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები.

- კომპანიას გათვალისწინებული აქვს, კომპანიის კაპიტალიზაციის გაზრდა 500 000 ლარის ოდენობით, კომპანიის მიერ ჩვეულებრივი და პრივილეგიებული აქციების ემისიის მეშვეობით.

**(აღნიშნული აქციების შეძენის შეთავაზებები, პირველ რიგში წარდგენილი იქნება ევროპის წამყვანი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის და საინვესტიციო ე.წ. „ჰეჯ-ფონდები“-სათვის)*

შედარებით იაფი და გრძელვადიანი კაპიტალის მოზიდვის შედეგად, კომპანიას გაუჩნდება მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებების ფართოდ დაფინანსების შესაძლებლობა - დაფინანსების „ფაქტორინგული ოპერაციების“ განხორციელების გზით, რაც თავის მხრივ შეამცირებს საკრედიტო რისკებს და მისცემს კომპანიას სტაბილური განვითარების შესაძლებლობას.

ამასთან ერთად, კომპანიის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს პერსპექტიულ, მომგებიან და გარანტიების მაღალი ხარისხის მქონე ფასიან ქაღალდებში ნაწილობრივად დაბანდებას. აღნიშნული საინვესტიციო ოპერაციები მიმართული იქნება დაბალანსებული საინვესტიციო პორთფელის ფორმირებაზე.

➤ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები.

❖ საკრედიტო რისკი.

- კომპანიის მიერ, საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისას, ფასდება მსესხებლების კრედიტუნარიანობის დონე. ყოველი სესხის რისკის პარამეტრების შეფასება ხორციელდება საკრედიტო ექსპერტების მიერ, დადგენილი საკრედიტო ექსპერტიზის პროცედურების შესაბამისად.

ცალკეულ მსესხებელთან მიმართებაში, საექსპერტო დიაგნოსტიკის შედეგების საფუძველზე, საკრედიტო კომიტეტის მიერ დგინდება: სესხის ოპტიმალური მოცულობა, საპროცენტო განაკვეთი, სესხის დაფარვის პერიოდულობა, გირავნობის საგნის ლიკვიდურობა, საბაზრო და სალიკვიდაციო ღირებულება.

ამასთან ერთად, „თბილმიკროკრედიტის“ მონაცემთა ბაზის გათვალისწინებით, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენება „კრედიტ-ინფოს“ ინფორმაციული ბაზა, რომლის საშუალებითაც ხდება ნეგატიური საკრედიტო ისტორიის მქონე მსესხებლების გაფილტრვა.

ე.წ. „ფორს-მაჟორული“ სიტუაციების დადგომის შემთხვევაში, გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა სესხის რესტრუქტურისა, გადახდის გრაფიკის სხვადასხვა სახის ცვლილებები. ყველაზე უპერსპექტივო შემთხვევებში ხდება პრობლემურ მსესხებელთა დაგირავებული პირადი ქონების, აუქციონის წესით რეალიზაცია.

❖ პერსონალის (თანამშრომელთა) კომპეტენტურობის რისკი.

- აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის ორგანიზაციაში ტარდება სისტემატიური ტრენინგები ოპერაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. პრობლემის გაჩენის შემთხვევაში ხდება მსესხებელთა გადამოწმება შიდა კონტროლის სამსახურის ოფიცერთა მიერ გაცემული სესხების შესაძლო ხარვეზების გასაანალიზებლად.

❖ სავალუტო რისკი.

- მიუხედავად ეროვნული ვალუტის არასტაბილურობის პირობებში ემიტენტს გააჩნია ეროვნული ვალუტის კურსის ჰეჯირების საკმაოდ ეფექტიანი მექანიზმები:

- ვალუტების ჭრილში, დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი;
- ვალუტების მიხედვით დაბალანსებული აქტივები და ვალდებულებები;
- კომერციულ ბანკებთან სავალუტო ფორვარდული და SWOP-ის ოპერაციების განხორციელება;
- სავალუტო კურსთან მიმართებაში „ღია სავალუტო პოზიციის“ მუდმივი კონტროლი და „მგრძნობიარე“ აქტივების და ვალდებულებების მინიმიზაცია;

- კომპანიის მიერ აშშ დოლარში მოზიდული თანხების - ლარში კონვერტაციის და შესაბამისად ლარში ნომინირებული გაცემული სესხების შედეგად წარმოქმნილი სავალუტო რისკის ჰეჯირება (დაზღვევა), კომპანიას მიერ ხორციელდება მომსახურე კომერციულ ბანკთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.

კერძოდ, კომპანიას მიერ ხორციელდება აშშ დოლარში მოზიდული სავალუტო სახსრების განთავსება საბანკო დეპოზიტზე, საშუალო საპროცენტო დარიცხვით - წლიური 3.5% – 3.75% - ის პირობით.

პარალელურ რეჟიმში, კომპანია იღებს ბანკში განთავსებული დეპოზიტის თანხის უზრუნველყოფის საფუძველზე - საბანკო სესხს, შესაბამისად განთავსებული დეპოზიტის ეკვივალენტური თანხის ოდენობით - ლარში, წლიური საშუალოდ 12% ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიას მიერ სავალუტო რისკისაგან დაზღვევის (ჰეჯირების) საფასური (ხარჯი) წარმოადგენს განთავსებული დეპოზიტს და მიღებული სესხს შორის საპროცენტო სხვაობას (საპროცენტო ხარჯს).

მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს კომპანიას ლარებში ნომინირებული საკრედიტო პორტფელის, სავალუტო რისკებისაგან დაზღვევის შესაძლებლობას, რაც უშუალოდ პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს კომპანიას კრედიტუნარიანობის ხარისხის ზრდაზე.

❖ საპროცენტო განაკვეთების რისკი.

- საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია აბსოლუტურად ყველა სესხისათვის. საპროცენტო რისკის „ნიველირების“ მიზნით აგრეთვე ხორციელდება გაცემულ სესხებზე და მოზიდულ სახსრებზე, „საშუალო შეწონილი“ საპროცენტო განაკვეთების დაბალანსების პრინციპის გამოყენება, ექსპერტების მიერ პერიოდულად განხორციელებული საფინანსო ანალიზის შედეგად.

❖ ლიკვიდურობის რისკი.

- კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მაჩვენებელი დაბალია. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა სასესხო პორტფელის და მოზიდული რესურსების „საშუალო შეწონილი“ ვადების დაბალანსების პრინციპის გამოყენებას. 2018 წლის 01.10. მდგომარეობით კომპანიას საკრედიტო პორტფელის და მოზიდული ვალდებულებების „საშუალო-შეწონილი ვადების“ ტრასფორმაციის კოეფიციენტი (Ktr) შეადგენს:

(სასესხო პორტფელის საშუალო-შეწონილი ვადა)



$$Ktr = \frac{\text{სასესხო პორტფელის საშუალო-შეწონილი ვადა}}{\text{ვალდებულებების საშუალო-შეწონილი ვადა}} = 0.92$$

(ვალდებულებების საშუალო-შეწონილი ვადა)

ეკონომიკური არასტაბილურობის რისკი.


- აღნიშნული რისკის მინიმიზაცია ხორციელდება საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციისა და სესხების მნიშვნელოვანი ნაწილის უზრუნველყოფის სახით მიღებული ქონების შეფასების “დისკონტის მეთოდის” გამოყენებით.

❖ კომპანიის ძირითადი ფინანსური პარამეტრები:



2018 წლის 01.07. მდგომარეობით	
გაცემული სესხების ტიპი	ლარი
სესხები ოქროს უზრუნველყოფით	279265
იპოტეკური სესხები	64644
სამომხმარებლო და ბიზნეს სესხები	449727


სასესხო პორთფელის სტრუქტურა 01.07.2018 მდგომარეობით



- სესხები ოქროს უზრუნველყოფით
- იპოტეკური სესხები
- სამომხმარებლო და ბიზნეს სესხები


საკრედიტო პორთფელის დინამიკა					
2017-1	2017-2	2017-3	2017-4	2018-1	2018-2
722752	663867	813951	775018	789477	793636

სასესხო პორთფელის დინამიკა - კვარტალურად (ლარი)



საბალანსო და რენტაბელობის მაჩვენებლები	2016 წელი	2017 წელი	2018 წლის 1-კვ	2018 წლის 2-კვ	2018 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით
აქტივები (ლარი)	949744	949744	1029313	1163588	
საწესდებო კაპიტალი	323423	323423	323423	456423	500000
ROE (კაპიტალის რენტაბელობა) - %	68,8	33,3	36,8	31,3	
ROA (აქტივების რენტაბელობა) - %	23,4	11,3	11,6	12,3	

აქტივების და კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებლები - წლიური % -ის ანგარიშით)



■ ROE (კაპიტალის რენტაბელობა) - % ■ ROA (აქტივების რენტაბელობა) - %

❖ ჩატარებული მარკეტინგული კვლევების შესახებ იფორმაცია:

კომპანიის მსესხებლების და კლიენტურის ლოიალურობის ამაღლების მიზნით, კომპანიის მიერ პერმანენტულად ტარდება მომხმარებელთა ანკეტირება - კომპანიის მიერ წარმოდგენილი სერვისის შესახებ.

აღნიშნული ანკეტირების შედეგების საფუძველზე კომპანიის მენეჯმენტი ითვალისწინებს შენიშვნებს და რეკომენდაციებს და პერიოდულად ატარებს პერსონალის ტრენინგებს კლიენტურის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

დირექტორი მურადი მორჩიაშვილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტის“ დამფუძნებლებს და მენეჯმენტს:

ამავე კომპანიის დასკვნა მმართველობით ანგარიშგებაზე:

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუღუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

24 სექტემბერი 2018

თბილისი, საქართველო

